ხელშეკრულება
სახლმწიფო შესყიდვის შესახებ N15

ქ.თბილისი ,,11” აპრილი,”2022 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1. ერთი მხრივ, სსიპ„ჟიული შარტავას სახელობის ქალაქ თბილისის N62 საჯარო სკოლა“, შემდგომში „შემსყიდველი“, დირექტორის მ/შემსრულებლის ელენე შაბურიშვილის სახით და მეორე მხრივ შპს მედიკორი შემდგომში „მიმწოდებელი“, დირექტორის ვლადიმერ ბაიდოშვილის სახით, ვდებთ ხელშეკრულებას მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. შემსყიდველმა განახორციელა გამარტივებული შესყიდვა, სახელმწიფო ბიუჯეტის ფარგლებში, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს1“ ქვეპუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-2 მუხლის ა) ქვეპუნქტის შესაბამისად, ორგანიზაციის საჭიროებისათვის სპეციალური ტანსაცმელი და აქსესუარები (cpv კოდი:18400000) –30 ლარი; ტყავის რაზინის ტექსტილის და პლასტმასის ნაერთებია (cpv კოდი:19600000) –44 ლარი; სამედიცინო მოწყობილობები (cpv კოდი:33100000) –115 ლარი; პირადი ჰიგიენის პროდუქტები (cpv კოდი:33700000) –1407,30 ლარი; ავეჯის აქსესუარები (cpv კოდი:39200000) –78 ლარი; შესყიდვაზე. მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს ზემოაღნიშნული საქონელი 1674,30 (ათასექვსასსამოცდათოთხმეტი ლარი და 30 თეთრი) ლარად. (შემდგომში ,,ხელშეკრულების ფასი“).

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

№	საქონლის/მომსახურების/სამუშაოს დასახელება	განზ. ერთეული	რაოდენობა	ერთ. ფასი	ჯამი	კლასიფიკატორის კოდი/დანაყოფი/ქვეკოდი
1	დისპენსერის ხელსახოცი	შეკვრა	360	2,4	864,00	33764000
2	ერთჯერადი ჭიქა წყლის დისპენსერისთვის 3000 ც	ყუთი	100	0,03	3,00	39222120
3	ტუალეტის ქარალდი ჯამბო 120 მ	ცალი	192	2,4	460,80	33761000
4	ნაგვის პარკი 30 ლ სანაგვე ურნისთვის 20 ც	შეკვრა	20	2,2	44,00	19640000
5	თხევადი საპონი ანტიბაქტ. 5 ლ წითელი	ცალი	3	16,5	49,50	33711900
6	თხევადი საპონი ანტიბაქტ. 5 ლ თეთრი	ცალი	2	16,5	33,00	33711900
7	ცოცხი ოთახის ბუნებრივი მასალის	ცალი	10	7,5	75,00	39224100
8	ერთჯერადი სამედიცინო ხალათი	ცალი	10	9,5	95,00	33199000
19	სამედიცინო რულონი 50 სმ	ცალი	1	20	20,00	33141000

1644,30

4. საქონლის მიწოდებელის პირობები

4.1. ვადები:

4.1.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება ერთჯერადად, 2022 წლის 30 აპრილის ჩათვლით.

4.2. ადგილი:

4.2.1. საქონლის შესყიდვის ადგილი: ქალაქი თბილისი, ჟიული შარტავას ქუჩა N20;

5. ანგარიშსწორების პირობები

5.1. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით;

5.2. მიწოდებული საქონლის ანაზღაურება იწარმოება, დადგენილი წესით წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტის ან/და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში სასაქონლო ზედნადების ან/და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე;(საჭიროების შემთხვევაში).

6. შესასყიდი საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. საქონლის მიწოდებისას ფორმდება მიღება–ჩაბარების აქტი, რომელზე ხელმოწერამდე ყველა ქონებრივი უფლება საქონელზე ეკუთვნის მიმწოდებელს, რომელიც პასუხისმგებელია საქონლის შემთხვევით (მთლიანად ან ნაწილობრივ) დაღუპვაზე, განადგურებასა თუ რაიმე სახის ზიანზე. ხელმოწერის მომენტიდან აღნიშნული უფლებები და რისკები გადადის შემსყიდველზე;

6.2.შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებისათვის მიმწოდებელმა, უნდა წარმოადგინოს:

სასაქონლო ზედნადები ან/და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში საგადასახადო ანგარიშფაქტურა მიწოდებული საქონლის დასახელების, რაოდენობის, ერთეულის ფასის და საერთო ღირებულების მითითებით;(საჭიროებისამებრ).

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. ,,მიმწოდებელი“ ვალდებულია:

7.1.1. უზრუნველყოს საქონლის მიწოდება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

7.1.2. მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებამდე გამოვლენილი დეფექტისა და ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი;

7.2. ,,შემსყიდველი“ ვალდებულია:

7.2.1. უზრუნველყოს ,,მიმწოდებლის“ ადექვატური და დროული ანაზღაურება ხელშეკრულების ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა;

8. მხარეთა უფლება

8.1. ,,მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით;

8.2. ,,შემსყიდველს“ უფლება აქვს:

8.2.1. აწარმოოს მიწოდებული საქონლის ხარისხის და მოცულობის კონტროლი;

9. ფორს-მაჟორი

9.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

9.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე, ამასთან შემსყიდველი ვალდებულია ფორს–მაჟორული გარემოების დასრულებისთანავე განახორციელოს ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება.

9.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია ერთი თვით ადრე. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული

წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს და ასეთ შემთხვევაში მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის ღირებულების/გადასახდელი თანხის 0,02%-ის ოდენობით;

13.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

13.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელკშეკრულების ღირებულების 2%-ს მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სკოლის ბუღალტერი: დოდო ჩხარტიშვილი.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. წინამდებარე ხეკშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ;

15.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2022 წლის 30 მაისის ჩათვლით;

16. განსაკუთრებული პირობები

16.1. ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად (3 გვერდზე) და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს

16.2. ხელშეკრულების თითო ეგზემპლარი ინახება მხარეებთან

<u>**მხარეთა რეკვიზიტები**</u>

`შემსყიდველი~
სსიპ„ჟიული შარტავას სახელობის ქალაქ თბილისის N62 საჯარო სკოლა“
ს/კ #211351605
ს.ს. “ ლიბერთი ბანკი“
ბ/კ # LBRTGE22
ა/ა # GE04LB0121134002649001
დირექტორის მ/შემსრულებელი
ელენე შაბურიშვილი

„მიმწოდებელი“
ი.მ. ვლადიმერ ბაიდოშვილი
მის:თბილისი, ქინძმარაულიაN1
ს/კ: 416343987
ს/ს„თიბისიბანკი“
ბ/კ:BTBCBGE22
ა/ა: GE23TB7916936080100007
ვლადიმერ ბაიდოშვილი

Medikori LLC
Digitally signed by Medikori LLC
Date: 2022.04.11 14:57:23 +03'00'

სსიპ ქალაქ თბილისის #62 საჯარო სკოლის გამარტივებული შესყიდვების მონაწილე პირების ხელწერილი

ქ. თბილისი 11აპრილი 2022 წელი

სსიპ ქალაქ თბილისის #62 საჯარო სკოლის“ დირექტორის მ/შემსრულებელი, გამარტივებულ შესყიდვაში მონაწილე ორგანიზაციასთან (შპს მედიკორი) მიმართებაში, სრულად ვაკმაყოფილებ, საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე-8 მუხლით დადგენილი, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს.

ელენე შაბურიშვილი - სკოლის დირექტორის მ/შემსრულებელი;

სსიპ ქალაქ თბილისის #62 საჯარო სკოლის გამარტივებული შესყიდვების მონაწილე პირების ხელწერილი

ქ. თბილისი 11 აპრილი 2022 წელი

სსიპ ქალაქ თბილისის #62 საჯარო სკოლის“ ბაზრის კვლევაზე პასუხიმგებელი პირი, მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი გამარტივებულ შესყიდვაში მონაწილე ორგანიზაციასთან (შპს მედიკორი) მიმართებაში, სრულად ვაკმაყოფილებ, საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე-8 მუხლით დადგენილი, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს.

მალხაზ ავალიანი– მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი;

ინსპექტირების აქტი

ქ. თბილისი 11 აპრილი 2022 წელი

სსიპ ჟიული შარტავას სახელობის ქალაქ თბილისის #62 საჯარო სკოლის“ სკოლის მიერ შპს მედიკორთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისიწნებული ვალდებულებები შესრულებულია.

№	საქონლის/მომსახურების/სამუშაოს დასახელება	განზ. ერთეული	რაოდენობა	ერთ. ფასი	ჯამი	კლასიფიკატორის კოდი/დანაყოფი/ქვეკოდი
1	დისპენსერის ხელსახოცი	შეკვრა	360	2,4	864,00	33764000
2	ერთჯერადი ჭიქა წყლის დისპენსერისთვის 3000 ც	ყუთი	100	0,03	3,00	39222120
3	ტუალეტის ქარალდი ჯამბო 120 მ	ცალი	192	2,4	460,80	33761000
4	ნაგვის პარკი 30 ლ სანაგვე ურნისთვის 20 ც	შეკვრა	20	2,2	44,00	19640000
5	თხევადი საპონი ანტიბაქტ. 5 ლ წითელი	ცალი	3	16,5	49,50	33711900
6	თხევადი საპონი ანტიბაქტ. 5 ლ თეთრი	ცალი	2	16,5	33,00	33711900
7	ცოცხი ოთახის ბუნებრივი მასალის	ცალი	10	7,5	75,00	39224100
8	რეზინის ხელთათმანი	ცალი	12	2,5	30,00	18424000
9	ერთჯერადი სამედიცინო ხალათი	ცალი	10	9,5	95,00	33199000
10	სამედიცინო რულონი 50 სმ	ცალი	1	20	20,00	33141000
					1644,30	

დოდო ჩხარტიშვილი–სკოლის ბუღალტერი

მიღება-ჩაბარების აქტი N

ქ.თბილისი 11 აპრილი 2022 წ.

ერთი მხრივ, ერთი მხრივ, სსიპ„ჟიული შარტავას სახელობის ქალაქ თბილისის N62 საჯარო სკოლა“, შემდგომში „შემსყიდველი“, დირექტორის მ/შემსრულებლის ელენე შაბურიშვილის სახით და მეორე მხრივ შპს მედიკორი შემდგომში „მიმწოდებელი“, დირექტორის ვლადიმერ ბაიდოშვილის სახით, ვდებთ ვდებთ წინამდებარე აქტს მასზედ, რომ შემსყიდველმა მიიღო, ხოლო მიმწოდებელმა ჩააბარა ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი.

№	საქონლის/მომსახურების/სამუშაოს დასახელება	განზ. ერთეული	რაოდენობა	ერთ. ფასი	ჯამი	კლასიფიკატორის კოდი/დანაყოფი/ქვეკოდი
1	დისპენსერის ხელსახოცი	შეკვრა	360	2,4	864,00	33764000
2	ერთჯერადი ჭიქა წყლის დისპენსერისთვის 3000 ც	ყუთი	100	0,03	3,00	39222120
3	ტუალეტის ქარალდი ჯამბო 120 მ	ცალი	192	2,4	460,80	33761000
4	ნაგვის პარკი 30 ლ სანაგვე ურნისთვის 20 ც	შეკვრა	20	2,2	44,00	19640000
5	თხევადი საპონი ანტიბაქტ. 5 ლ წითელი	ცალი	3	16,5	49,50	33711900
6	თხევადი საპონი ანტიბაქტ. 5 ლ თეთრი	ცალი	2	16,5	33,00	33711900
7	ცოცხი ოთახის ბუნებრივი მასალის	ცალი	10	7,5	75,00	39224100
8	ერთჯერადი სამედიცინო ხალათი	ცალი	10	9,5	95,00	33199000
9	სამედიცინო რულონი 50 სმ	ცალი	1	20	20,00	33141000
					1644,30	

საქონელი მიიღო *საქონელი ჩააბარა*

უფლებამოსილი პირი *უფლებამოსილი პირი*